ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 790 20-33-05

5.. §.-§“-“§

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №276

30 სექტემბერი 2013 წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლისათვის“ (ს/კ - 242008279) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის №32 დადგენილებით დამტკიცებული ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესი“-ს მე-13 მუხლის მე-3 პუნქტისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლას“ (ს/კ - 242008279) 2013 წლის 18 სექტემბრის №98 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გადაეცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლას“ (ს/კ - 242008279) სარგებლობის უფლებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დ. ჩოხატაურში დუმბაძის ქ.

№45–ში მდებარე შენობა-ნაგებობა – ღირებულებით 244 929 (ორას ორმოცდაოთხი ათას ცხრაას ოცდაცხრა) ლარი, მასზე დამაგრებულ 1150.00 კვ.მ. არსასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის ნაკვეთთან ერთად (მიწის ღირებულება - 13 800 (ცამეტი ათას რვაასი) ლარი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.116).

2. სარგებლობის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვროს გადაცემული ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ (ს/კ - 242008279) წესდებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის გამოყენება და მისი მოვლა-პატრონობა.
3. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემა განხორციელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით.
4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს უზუფრუქტუარის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირად არსებობის პერიოდით.
5. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგებელს (თამაზ ჯინჭარაძე) მხარეთა შორის გასაფორმებელი უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარების აქტების მომზადება.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაშიბ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტშიბმისამართზე – ჭავჭავაძის ქყ 3 §ყ
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავეყ

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

მიხეილ უნგიაძე

ვიზირებულიაბ
იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*